

3. აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება გალის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის გათავისუფლებისა და გალის რაიონის პრეფექტის დანიშვნის თაობაზე საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის 1991 წლის თებერვლის დადგენილების შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის 1991 წლის 11 თებერვლის დადგენილებით აფხაზეთის ასსრ კონსტიტუციის დარღვევით თანამდებობიდან გათავისუფლდა გალის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე რაზო ძიკას ძე შონია და აფხაზეთის კონსტიტუციით გაუთვალისწინებელ აფხაზეთის ასსრ გალის რაიონის პრეფექტის თანამდებობაზე დაინიშნა ედიშერ კალისტრატეს ძე ჯანჯულია.

ეს დადგენილება უკანონოა, ვინაიდან მიღებულია აფხაზეთის ასსრ ამჟამად მოქმედი კონსტიტუციის 66-ე და 120-ე მუხლების დარღვევით, რომელთა თანახმად სახელმწიფო ხელისუფლებას ხალხი ახორციელებს სახალხო დეპუტატთა საბჭოების მეშვეობით, ხოლო სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ადგილობრივი ორგანოების ორგანიზაციისა და საქმიანობის წესის დადგენა აფხაზეთის ასსრ გამგებლობას განეკუთვნება და მისი ხელისუფლებისა და მმართველობის უმაღლესი ორგანოების მეშვეობით ხორციელდება.

იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის 1991 წლის 11 თებერვლის დადგენილება გალის რაიონის პრეფექტის დანიშვნის შესახებ მიღებულია აფხაზეთის ასსრ კონსტიტუციის ზემოაღნიშნული მუხლების საწინააღმდეგოდ, აფხაზეთის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

1. ჩაითვალოს მიღების მომენტიდან უკანონოდ და იურიდიული ძალის არმქონედ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის 1991 წლის 11 თებერვლის დადგენილება სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის რაზო ძიკას ძე შონიას გათავისუფლებისა და აფხაზეთის ასსრ გალის რაიონის პრეფექტად ედიშერ კალისტრატეს ძე ჯანჯულიას დანიშვნის შესახებ.

2. სახალხო დეპუტატთა ადგილობრივმა საბჭოებმა აფხაზეთის ასსრ პროკურატურის, სახელმწიფო უშიშროებისა და შსს ორგანოებთან ერთად მიიღონ აუცილებელი ზომები ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციური წყობის, აფხაზეთის რაიონებსა და ქალაქებში მოსახლეობის მიერ არჩეული საბჭოთა ხელისუფლების ორგანოებისა და შესაბამის თანამდებობის პირთა დაცვისათვის.

(...)

აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ვ. არძინბა.

1991 წლის 13 თებერვალი.

(გაზეთი «Советская Абхазия», № 24, 1991 წლის 15 თებერვალი. საკუთარი თარგმანი)